**ხელშეკრულება N 34**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**

ქ. წყალტუბო 14 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მმართველის **მამუკა ქუთათელაძე** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „რაპაკა"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმომადგენელი მისი დირექტორის **კახა გვეტაძის** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი**
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის" ცენტრისათვის შტამპის შეძენა.
**CPV (30190000)** - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები
**CPV (30192150)** - თარიღის დასასმელი შტამპები

**2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**
2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 35 (ოცდათხუთმეტი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

**3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**
3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის მიერ მიღება ჩაბა-რების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

**4. მიღება-ჩაბარების წესი**
4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი"-ს ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი - ემზარ მამარდაშვილი.

**5. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები**
5.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 15 მაისის ჩათვლით.
5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

**6. მხარეთა უფლება–მოვალეობები**
6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

**7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი"
მის: წყალტუბოს რაიონი, სოფ. გვიშტიბი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი"

მმართველი: ---------- მ.ქუთათელაძე

**მიმწოდებელი:**

შპს „რაპაკა"
მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #35
ს/ს პროკრედიტ ბანკი
ბ/კოდი: MIBGGE22
ა/ა GE54PC0013600100045900
ს/კოდი: 412704505

შპს „რაპაკა"

დირექტორი: ---------- კახა გვეტაძე